N229 2015 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

„საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №124 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №124 დადგენილებაში (სსმ, 31/12/2004 წ., მუხ. 1436) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-2 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) 2015 წლის პირველი იანვრიდან 2016 წლის პირველ იანვრამდე:

ე.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

ე.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 3 %;

ე.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 42%;

ე.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 50 მგ/კგ.“;

„ვ) 2016 წლის პირველი იანვრიდან 2017 წლის პირველ იანვრამდე:

ვ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

ვ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 1 %;

ვ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 35%;

ვ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 50 მგ/კგ;“.

2. დადგენილების მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) 2017 წლის პირველი იანვრიდან:

ზ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

ზ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 1 %;

ზ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 35%;

ზ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 10 მგ/კგ.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**